

# საგაზეთო

ქართული  
გაზეთების  
კავშირთა  
კავშირთა

საერთო გაზეთი პარასკევი 10 დეკემბერი 2004 №287 (2308)

ფასი 50 თეთრი

## ხალხი და რონალდინიო ერთმანეთს ასახელებენ

წელი მთავრდება და ფეხბურთი მთავრდება, საახალწლო არდადეგების წინ კი წესია: წლის საუკეთესოებს ასახელებენ.

საფეხბურთო სამყაროში საუკეთესოთა ნომინაციების სამი ვერსიაა გამორჩეულად პრესტიჟული. ფიფას წლის საუკეთესო ფეხბურთელი, რომელსაც ნაკრებთა მწვრთნელები ირჩევენ, „ფრანს ფუტბოლის“ ვერსია, ევროპულ გამოცემათა გამოკითხვა, რომელშიც „სარბიელიც“ მონაწილეობს და ჟურნალ „უორლდ სოკერისა“, რომელიც გულშემატკივართა აზრს ეყრდნობა.

შედეგებს, ტრადიციულად, პირველი „უორლდ სოკერი“ აქვეყნებს და მისი ანუ გულშემატკივართა წლევანდელი ფავორიტი რონალდინიოა.

„ბარსელონას“ ბრაზილიელმა ხმების 28,6 პროცენტი მიიღო და ბევრითაც არ გაუსწრია არსენალელ ტიერი ანრისა და მილანელ ანდრეი შევჩენკოსთვის. თუ გახსოვთ, ფიფამაც უკვე გამოაცხადა, რომ მისი რჩეულიც ამ სამეულშია საძებნი.

წლის მწვრთნელად კი, რა გასაკვირია, „უორლდ სოკერის“ მკითხველებმა ჟოზე მარინიუ დაასახელეს, ვინც ოტო რეჰაგელს და არსენ ვენგერს გაუსწრო.

წლის გუნდად კი საბერძნეთის ნაკრები მიიჩნიეს — ევროპის ჩემპიონატის საარაკოდ მომგები გუნდი.



ბადრი კითილაძის ფოტო

## ბაარეარით, ჩავდივართ! თხი კარბი ტრეკდელი სხვა ავტობუსში ჰდება


გუშინდელი დღე უსენსაციო სათასო მატჩებისა იყო და ქართული საფეხბურთო სეზონიც, ფაქტობრივად, ამით დასრულდა. დარჩა მხოლოდ ერთი, მერვედფინალის გადადებული საპასუხო მატჩი „ზესტაფონი“ — „დინამო“.

მერე კი... მერე სატრანსფერო თამაშების დროა. ისე ჩანს, ფეხბურთელთა მიდი-მოდი ამ ზამთარს ისეთი სიხშირისა იქნება, აქამდე რომ არ გვინახავს. „ზესტაფონი“, „დინამო“ და „ლოკომოტივი“ — სამი შექცეული ქართული კლუბი მსუყე ლუკმის ძიებაშია.

ამასობაში კი ჩემპიონატის ერთ-ერთი ლიდერი, სამგზის ჩემპიონი ქუთაისის „ტორპედო“ ფეხბურთელებს ვერ აკავებს — შოთა ბაბუნაშვილი, ზვიად სტურუა, გია მეგრელაძე და გიორგი ნერგაძე ჩემოდნებზე სხედანო, თქვა გუშინ რიონისპირელთა თავკაცმა ოთარ გაბელიამ და ზემოხსენებული სამეულიც, ეჭვი არაა, თავისას ეცდება.

„ზესტაფონი“, „დინამო“ და „ლოკომოტივი“ — როგორ გაიყოფა ოთხი სამზე?

**დღეს ფეხბურთის ფედერაციაში: რაბვაკად მოექცევიან სხვაგვარად მოაზროვნეს?**



ბადრი კითილაძის ფოტო





# დავით ყიფიანის თასი

აერთხელფინალი. საპასუხო მატჩი



ვაკაშვილი ანდროსიანი ფოტო

ამერელემა საჯარიმოდან ბურთი ვერ გამოიტანეს და მეორე გოლიც ასე გაუშვეს

თბილისი. 9 დეკემბერი. 13 საათი. ფა ანგარისი სკოლა. 400 მაყურებელი

<b>ამერი 0:2 ვიბ ჯორჯია (2:5)</b>	
0:1 ადამია (19), 0:2 დილმელაშვილი (74)	
ამერი: ნადირაშვილი, კედელოშვილი, ელბაქიძე (ბუღალავა 77), დავითნიძე, ხვადაგანი, კაიდარაშვილი, დეკანოსიძე, გარუნაძე, სილაგაძე, წინამძღვრიშვილი, სევესტოპოლო სათადარიგო: ნიკოლაიშვილი, დავითაშვილი, ჩიმაკაძე, შონია	ვიბ ჯორჯია: ბედიანიშვილი, ბ. დათუნაიშვილი, კვხაძე, თ. კობიაშვილი, იმედაშვილი (დ. ლომია 39), ვ. გოჩაშვილი, ლ. კვარაცხელია, დილმელაშვილი, ქოქიაშვილი (ცხომარია 46), მარცვალაძე, ადამია (სახოკია 75) სათადარიგო: მამარდაშვილი, ნოზაძე, ებანოიძე, მერეზაშვილი
მაჯარიმოდან: გიორგი ჩიხრაძე	მაჯარიმოდან: მერაბ კოჭლაშვილი
მაჯარიმოდან: კედელოშვილი (35), დეკანოსიძე (38), წინამძღვრიშვილი (53), მარცვალაძე (83)	
მსაჯრები: ზ. ანიაშვილი; კ. გაბრიელიძე, ლ. მიქელაძე; ა. ორდინიძე	
ინსპექტორი: ა. მილჩენკო	

## უპოტივასიროს მოტივი ნებაჰ ბეჰრი იყოს ასეთი თაბაზი

პირველი მატჩის ანგარიშის მიუხედავად, საპასუხო მატჩი დიდი ინტერესი გამოიწვია. თუნდაც ის ფაქტი, რომ შეხვედრის ინსპექტორი სამსაჯო-საინსპექტორო კომიტეტის თავკაცი ანატოლი მილჩენკო იყო, მატჩის მნიშვნელობაზე მეტყველებს. კიდევ ის, რომ „ამერი“ — „ვიბ ჯორჯიაზე“ მოსულმა ასზე მეტმა ქომაგმა ტრიბუნაზე ადგილი ვერ ნახა და შეხვედრას მოედნის შემოგარენიდან უცქირა. ისე, სიტყვამ მოიტანა და, „ამერის“ ხელმძღვანელობა სტადიონის ტრიბუნას თუ გააფართოვებს, კარგი იქნება. მით უმეტეს, „ამერის“ საპირველი საშინაო მატჩების დროსაც ხომ ანსლაგი ჩვეულებრივი ამბავია.

შემაღვლელობაში, პირველი მატჩისგან განსხვავებით, მწვრთნელმა რამდენიმე შეცვლა გააკეთა. „ვიბ ჯორჯიაში“ კაპიტან ნოზაძის ნაცვლად კვარაცხელია, თავდამსხმელ მერეზაშვილის მაგივრად ნახევარმცველი ქოქიაშვილი, ხოლო მეკარე მამარდაშვილის შემცვლელად ბედიანიშვილი ვიხილეთ. „ამერის“ ძირითადი უფრო გადახალისებული იყო — მეკარე ნადირაშვილი, ელბაქიძე, წინამძღვრიშვილი, კედელოშვილი, ხვადაგანი, კაიდარაშვილი, დეკანოსიძე, გარუნაძე, სილაგაძე, წინამძღვრიშვილი, სევესტოპოლო სათადარიგო: ნიკოლაიშვილი, დავითაშვილი, ჩიმაკაძე, შონია

სას იმედაშვილი დაშავდა, მის ნაცვლად კი თამაში დავით ლომია გააგრძელა. სხვათა შორის, დავითი საქართველოს ნაკრების მეკარის გიორგი ლომიას ძმა.

„ამერის“ საწყისი შეტევები კი „ვიბ ჯორჯიაში“ ძალების მთელი მოხილიზებით, მაგრამ მაინც გადაიტანა, მერე კი იქით შეუტია მასპინძლებს და მე-19 წუთზე დაწინაურდა კიდევ: მარცვალაძემ ჩინებული პასით ადამია ნადირაშვილთან პირისპირ დატოვა და სტუმართა მეგობრულად გატანა აღარ გასჭირვებია.

ნახევარფინალის ვინაობაც, ფაქტობრივად, უკვე ცნობილი გახდა. მართალია, „ვიბ ჯორჯია“ მცხეთის თამაშის შემდეგვე ცალი ფეხით ნახევარფინალში იყო, მაგრამ ადამიას გლდანურმა გოლმა ის მცირე კითხვის ნიშანიც წაშალა, რაც გუშინდელ მატჩს კიდევ შერჩენოდა.

და მიუხედავად ანგარიშისა, „ამერი“ თამაშობდა, მეტოქეს უბრძოლველად მტკავებს არ უთმობდა. კარგი ფეხბურთი იყო, პირველიველი, თანაც უკვე დამარცხებული მეტოქის შემხედვარე „ვიბ ჯორჯია“ ნელ-ნელა იშვავდა მოდიოდა და ეს ყველაფერი თვალს უხაროდა — ერთი და ორი მატჩი გვიანავს, ქომაგს ტრიბუნაზე რომ ჩასიხნება?! გუშინ სხვა თამაში იყო და ვისურვით, ამგვარი მატჩები არც ჩემპიონატს დააკლდეს.

შესვენების შემდეგ უპირატესობა ისევ ამერელთა იყო, თუმცა, სათქმელია, „ვიბ ჯორჯია“ უკვე იმ ფეხბურთის თამაშობდა, რომელიც გაურთულებლად გაიყვანდა ნახევარფინალში. იყო დეკანოსიძის ძალიან სახიფათოდ დარტყმული საჯარიმო, იყო სილაგაძის აბრაგანი, სევესტოპოლოს კარგი მომენტი, მაგრამ სტუმრები სიმშვიდეს ინარჩუნებდნენ. ისინი არც ნერვებს აჰყვნენ და თავის საქმეს აკეთებდნენ. საქმე კი ნოზაძის არყოფნაში კაპიტანმა დილმელაშვილმა მოაგვარა. მან საჯარიმოში შექმნილი არეულობით ისარგებლა და მეორე გაიტანა.

ნახევარფინალში ჩემპიონი ითამაშებს, „ამერს“ კი სხვა, თავისი საქმე აქვს, ცოტა ხანს დაისვენებს, მერე კი უმაღლესი ლიგის საგზურისთვის ბრძოლას განაახლებს.

თბილისი. 9 დეკემბერი. 13 საათი. ლოკომოტივი. 100 (ტევაღობა 25 600)

<b>ლოკომოტივი 2:0 კოლხეთი (6:9)</b>	
ლოკომოტივი: გვარამაძე, რ. ონიანი, გოგობერიშვილი, მახვილაძე, ბაქრაძე, ლაცაბიძე, სიჭინავა (სანიკიძე 81), ქებაძე (გ. ონიანი 87), წხაიძე, სირბილაძე (ავალიანი 90), ბობოხიძე სათადარიგო: ბათიაშვილი; სოსელია, მედვეგი, შენგელია	კოლხეთი: ქვაჩანია, კილასონია, ჭითანავა, დ. ნარსია, ქობულაძე, აკობია, ვართაგავა, მარგალიტაძე, ძოძუაშვილი, ქუთათელაძე, გ. თოდუა (ნ. ნარსია 84) სათადარიგო: შენგელია; კუნჭულია, ხიზანიშვილი
მაჯარიმოდან: ზაურ სვანაძე	მაჯარიმოდან: სერგო გაბელია
მაჯარიმოდან: აკობია (26), მარგალიტაძე (49)	
მსაჯრები: ბ. დოგრაშვილი (ქუთაისი); ზ. ხუციშვილი (დმანისი), გ. ცირდავა (გულრიფში); ა. შალამბერიძე (ქუთაისი)	
ინსპექტორი: გ. კაკულია	

## ვაკაშვილი როდიაში არბატანა

დავით ყიფიანის თასის ფინალი. 2:0 ბოლოში (780)

ამ წყვილში სანახევარფინალში გუნდად „ლოკომოტივი“ ითვლებოდა, მაგრამ პირველ ტაიმში „კოლხეთს“ სამი მომენტიდან ერთი მაინც რომ გაეტანა, ვინ იცის, იქნებ ფოტის გაელწია შემდეგ ეტაპზე.

მომენტი პირველი: მერაბ ძოძუაშვილი შორეულ ძელთან ჩაუსაფრდა ფლანგურ პასს, მაგრამ ბურთი იმავე ძელს გაარტყა.

მომენტი მეორე: ძოძუაშვილმა „ლოკომოტივის“ კარის გასწვრივ გაგზავნა ბურთი, დავით გვარამაძეს კარი, რომ იტყვიან, უკვე დაკარგული ჰქონდა, მაგრამ ბურთს ზაზა ლაცაბიძე ჩაუწვია რისკიანად — ასეთი მომენტები ხშირად ავტოგოლით მთავრდება, მაგრამ „კოლხეთს“ ოდნე უთხურს გამორჩა.

მომენტი მესამე: კვლავ ძოძუაშვილის დარტყმა, მაგრამ ბურთი თანაგუნდელ ვია თოდუას მოხვდა, თორემ...

როცა „კოლხეთმა“ ბოლო ორი მომენტი გაანავა, უკვე 0:1-ს აგებდა — „ლოკომოტივი“ ბურთი გრძობდა და განივად კარვად გააგორა, ლაცაბიძემ მარჯვენა ფლანგზე ერთი მეტოქე მოატყუა, რომ ონიანს თავზე დაასვა ბურთი და ფოთელთა კარის ბაღაც შეირხა.

მეორე ტაიმის დასაწყისში სტუმრებმა თავი გამოიღეს, მეტი მონაწილეობით ათამაშდნენ შეტევაში, მაგრამ ეს ხანმოკლე ეპიზოდი გამოდგა, რასაც საგოლე მომენტები არ მოჰყოლია. „კოლხეთი“ თანდათან

კარგავდა მხნეობას, მოძრაობა უჭირდა, თითქოს იფიტებოდა.

და დადგა „ლოკომოტივის“ ჯერი — მასპინძლებმა ისეთი შანსები გააცუდეს, თითქოს „კოლხეთის“ კარს ჯადო ჰქონდა გაკეთებული.

ჯერ იყო და, მიხედვით ბობოხიძემ ისე გაუჭრა პასი ლაშა ჩხაიძეს, რომ მეკარეს შეატოვა, ჩხაიძემ ქვაჩანია მოატყუა, მაგრამ კარში ორი ფოთელი მცველი ჩადგა და მისი დარტყმული გიორგი კილასონიამ თავით მოიგერია.

მერე გოგობერიშვილი-სირბილაძის გარჯით ბობოხიძეს უნდა ეხერხებოდა მალაღობის ხელსაყრელი პოზიციიდან, თუმცა მიზანი ვერ გაასწორა.

შემდეგ ჩხაიძეს 4-5 მეტრიდან უნდა გაეტანა და... ბურთი ხარხას გადააცილა...

„ლოკომოტივის“ გოლი მაინც ვერ გააქვსო და, „კოლხეთმა“ ერთხელაც გაიბრძოლა. ფოთელებმა რამდენჯერმე მწვაველ შეუტყეს, მეტოქის საჯარიმო მოედნამდე ბურთი რამდენჯერმე მიიტანეს, მაგრამ ევ იყო და ევ.

მასპინძლებმა კი ერთხელაც გაიწიეს სტუმრებს და საქმეც მოითავეს — ლაშა ქებაძემ ქვაჩანია შეაწყვიტა ბურთი, მაგრამ დამატებაზე მიხვილ ბობოხიძემ იყოჩაღა და 2:0.

ამით ყველაფერი დამთავრდა, „ლოკომოტივის“ გული საგულეს ჩაუდგა, თუმც ისე როგორ იქნებოდა, ამით დამთავრებულიყო ყველაფერი — მატჩის ბოლოს საგოლე შანსი ბობოხიძეს მიეცა და არაზუსტად დაარტყა.



მ. შარაშვილი ფოტო



ჩემპიონთა ლიგა 2004-2005. ჯგუფური ეტაპი. VI ტური

A ჯგუფი



REUTERS ლივერპულიდან

გაიღვიძე, სტივ, ლიგაში პარტი!

ლივერპული — ოლიმპიკოსი. სტივენ ჯერარდის ჯაღო-დარტყმა

რას გვეჩივით ფრანგო ჯალათებო?!

ლივერპული 3:1 ოლიმპიკოსი
0:1 რივალდო (27), 1:1 სინამა-პონიოლი (47), 2:1 მელიორი (80), 3:1 ჯერარდი (86)
ლივერპული: კირკლანდი, ფინანი (ხოხეში 85), ბიბია, ჯ. ტრაორე (სინამა-პონიოლი 46), კარაგერი, ა. ნუნესი, ჯერარდი, ხაბი ალონსო, რისე, კიუელი, ბაროში (მელიორი 78)
მწვრთნელი: რაფაელ ბენიტესი
ოლიმპიკოსი: ნიკოპოლიდისი, ანატოლაკისი, შურერი, პანტოსი, კაფესი, ვენტიდისი (მ. მარინი 84), რივალდო, სტოლტიდისი, ჯორჯევიჩი, გეორგიადისი (რეჩინი 71), ჯოვანი (ოკასი 83)
მწვრთნელი: დუშან ბაევიჩი
გაფრთხილება: ხაბი ალონსო (28), პანტოსი (42), კარაგერი (44), ანატოლაკისი (45), ჯერარდი (55), შურერი (80)
მსაჯი: მესტო გონსალესი (ესპანეთი)
42 045 მაყურებელი

მეორე ტაიმის დაწყებიდან ორ წუთში სინამა-პონიოლიმ გაათანაბრა, რომელიც ბენიტესმა ჯიმი ტრაორეს ნაცვლად შეუშვა მოედანზე. მეოთხედივე წუთზე კი ნიკოპოლიდისის კიდევ ერთმა სამარქაფომ, ჯეელმა ნილ მელიორმა გაუტანა.
ჩვეთი, ყველაზე ნაკლებად რას ვისურვებდით? იმას, რომ 9 დეკემბრის დღიდან უფროს თასზე ჩამოქვეითებულს გამოეღვიძო — განუცხადა სტივენ ჯერარდმა ინგლისურ მედიას ბერძენებთან მატჩის წინ და თავისი სიტყვისკაცობა მოედანზე დაამტკიცა. მხე წუთზე ჩაუქმა სტივმა მერსისაიდელთაის „უწმინდესი“ (ასე ალბიონელმა ჟურნალისტებმა მონათლეს) ანუ მერვედფინალში გამსვლელი გოლი შეაგლო.

ფრანგებთან ავბედითი მატჩის წინ გალისიელები იქაინებოდნენ, აქოლა, „მონაკოსთან“ მარშანდელი ჰმ მწარედ გვახსოვს და ახლა მათზე ჯავრი უნდა ვიყაროთო. მაგრამ პირიქით კი მოხდა. მასპინძელთა თავდაპირველი უსუსური გაბრძოლების შემდეგ „რიასორზე“ დიდ დეშანის გუნდი გაბატონდა. 21-ე წუთზე სავილას ჩინებული პასის მერე ურუგვაელ ჩევანტონის თვისტომ მუნჯასთვიის გატანა არ გასჭირვებია — 1:0. თხუთმეტობად წუთში კი გივე კუთხურიდან ჩაწოდებულ ბურთის მოხდენილად შეეგება, 2:0.

„ლივერპულის“ კაპიტანმა სტივენ ჯერარდმა მატჩის მიწურულს გატანილი გოლით მერსისაიდელს ლიგის მერვედფინალში მიუჩინა ადგილი. წაგებული პირველი ტაიმის მიუხედავად, ბრიტანელებმა შეუძლებელი შეძლეს და ბედმაც მათი შემართება შესაფერისად დააჯილდოვა.

მატჩის დაწყებიდან პირველი 15 წუთის განმავლობაში „ლივერპული“ მოედნის სრული ბატონ-ბატონი ვახლდათ, ხოლო ბერძნები ძირითადად საკუთარი საჯარიმოს უსაფრთხოებით იყვნენ დაკავებული. ერთ-ერთი იერიშისას ხაბი ალონსომ ბურთი ძელსაც მოარტყა და საქმეს ისეთი პირი უჩანდა, „ლივერპული“ სადაცა გოლს გაიტანდა, მაგრამ პირიქით კი მოხდა: „ოლიმპიკოსის“ ბრაზილიელმა რივალდომ საჯარიმო ზუსტად შეასრულა და 26-ე წუთზე ლუშან ბაევიჩის გუნდი დაწინაურდა.

თამაშის ბედი უკვე გადაწყვეტილი იყო, თუმც იმავე სავილამ იზრუნა, რომ შესვენებადღე ანგარიში უფრო მსუყე ყოფილიყო. არგენტინელმა ცენტრში პაბლო ამოს მოხერხებულად აუარა გვერდი, შემდეგაც ვერაინ შეძლო მისი შეჩერება და მუნჯამაც ბურთის გაყოლა თვალს. მეოთხე გოლის გატანა მაიკონმა გალისიელთა დაცვის ჩათვლების გამო შეძლო. 75-ე წუთზე კი ემანუელ ადგაიორმა „დეპორტივოს“ ტანჯვას წერტილი დაუსვა.

ამ დამეს

თასი ძველ ადგილას, რაფა! არასოდეს ვყოფილვარ ისე ამაცი, როგორც ამ დამეს — თქვა რაფა ბენიტესმა იმ გასაუფლებელი თამაშის შემდეგ, „ლივერპული“ რომ ჩემპიონთა ლიგის მერვედფინალში გაიყვანა.

ყველაფერი იყო ძველებურად, ძალიან ძველებურად, ისე როგორც ვკადრებოდა „ენფილდ როუდს“, რომლის გულსმაც სინამაგს „ლივერპულის“ იდუმალ ძალას, კეთილ დრაკონს, ერობა რომ დაიპყრო ოდესღაც და ოთხშაბათ საღამოს, თითქოს დრაკონი შეინძრა.
„ლივერპულმა“ შემოატრიალა თამაში მძიმე და ხისტ „ოლიმპიკოსთან“ და საჭირო სამი გოლი გაიტანა, სწორედ ისე იმ ძველ და დიად დროში რომ იცოდა „არასოდეს იქნები მარტო“ — მერსისაიდელი სამაყის ჰიმნი ოთხშაბათს, ღამის ათის ნახევარზე სულ სხვაგვარი ძალით გაისმა ვისაც ახსოვს ძველი „ლივერპული“, მოთამაშე უბრალოდ, მაგრამ არაადამიანური ჟინითა და უტყურობით, გაეხარებოდა ეს ამბავი.

სტივენ ჯერარდი, თავისი ჯაღო-დარტყმით გაგვიხუმრებდა სწორედ კოპის მხარეს გაქანდა საზეიმოდ. ყველაფერი ისე იყო, როგორც საოცარ თამაშებში: ორი შემცველები და ორი გოლი. „ენფილდის“ ახალი გმირი — ნილ მელიორი, გაუცინარი რაფა და ჰარი კიუელის მოუღვლევი ფეხები.
„ოლიმპიკოსი“ თამაშობდა ისე, როგორც უნდა ეთამაშა კარგად დალაგებულ გუნდს რივალდოსთან ერთად, „ლივერპული“ კი თამაშობდა ისე, როგორც თამაშობდა ოდესღაც და ეს არ იყო ძველმოდური თამაში, ეს მარადიული თამაში იყო.
არასოდეს იქნები მარტო, არასოდეს... ვინ იცის, უკვე ფხიზლობს „ენფილდის“ გულში ძველი ოცნება: თასი ძველ ადგილას, თასი ძველ ადგილას, რაფა!
მაგრამ იქამდე ბევრი საგალია. და ბევრი ასეთი თამაში, თუ წითლები შეძლებენ.

ჯგუფური ეტაპის სტატისტიკა

ბომბარდირები
რუფდ ვან ნისტელროი მანჩესტერი 8
როი მაკაი ბაიერნი 7
ივან კლასნიჩი ვერდერი 5
თუნჯაი შანლი ფენერბაჰჩე 5
ადრიანო ინტერი 4

საგოლე პასი
ლუიშ ფიგუ რეალი 5
იოან მიკუ ვერდერი 4
სილვენ ვილტორდი ლიონი 4
ადრიანო ინტერი 3
ხავიერ ჩევანტონი მონაკო 3

კარგი დარტყმა
როი მაკაი ვერდერი 15
ტიერი ანრი არსენალი 14
ანდრეი შევჩენკო მილანი 13
თუნჯაი შანლი ფენერბაჰჩე 13
ივან კლასნიჩი ვერდერი 11

კარისკან დარტყმა
ანგელოს ბასინასი პანათინაიკოსი 14
რაული რეალი 14
პედრო პაულეტა პსუ 12
მიკაელ ესინი ლიონი 11
იაცკე კრჟინოვეკი ლევერკუზენი 11

თამაშბარათი
ზლატან ირაჰიმოვიჩი იუვენტუსი 23
ემანუელ ადგაიორი მონაკო 15
დიდე დროგბა ჩელსი 14
ალბერტ ლუკე დეპორტივო 14
პედრო პაულეტა პსუ 14

ყვითელი ბარათი
კარლოს მარჩენა ვალენსია 4
ანასტასიოს პანტოსი ოლიმპიკოსი 4
რობსონ პონტე ლევერკუზენი 4
სერვეტ ჩეთინი ფენერბაჰჩე 4
გიორგოს ანატოლაკისი ოლიმპიკოსი 3

წითელი ბარათი
სერვეტ ჩეთინი ფენერბაჰჩე 2
ადრიანო ინტერი 1
მიგელ ანგულო ვალენსია 1
კოზმინ ბარკაუანი შახტარი 1
დანიელე დე როსი რომა 1

დაჯარიმდა
ჯონ ჰარტოსონი სელტიკი 27
იური ჟირკოვი ცსკა 22
დანი ბრაატენი რუსენბორგი 20
მარკო აურელიო ფენერბაჰჩე 20
ანასტასიოს პანტოსი ოლიმპიკოსი 20

მასზა დაჯარიმდენი
კლებერი დინამო 33
მარკო აურელიო ფენერბაჰჩე 28
არუნა დინდანე ანდერლესტი 26
იანის ოკასი ოლიმპიკოსი 25
ხუან ვალერონი დეპორტივო 25

ტობალიზატორი „უილიამ ჰილსი“ აოუფიცინებები ჩემპიონთა თასის ალაბაზა

ჩელსი (ინგლისი) ----- 9-2
მილანი (იტალია) ----- 11-2
ბარსელონა (ესპანეთი) ----- 11-2
არსენალი (ინგლისი) ----- 7-1
იუვენტუსი (იტალია) ----- 15-2
მანჩესტერი (ინგლისი) ----- 9-1
რეალი (ესპანეთი) ----- 11-1
ინტერი (იტალია) ----- 14-1
ლიონი (საფრანგეთი) ----- 20-1
ბაიერნი (გერმანია) ----- 20-1
ვერდერი (გერმანია) ----- 25-1
მონაკო (საფრანგეთი) ----- 25-1
ლივერპული (ინგლისი) ----- 28-1
ლევერკუზენი (გერმანია) ----- 28-1
პსუ ვინდჰოვენი (ჰოლანდია) -- 50-1
პორტუ (პორტუგალია) ----- 66-1



















# მერიონს შერევის პერიონს ეს ქალი ყველაზე რა უფრო

მოდი, ყველაფერს ისევ თავიდან მოვიყვებ. წლებადღე ივლისს მერიონ ჯონსის ქმარყოფილმა, ბირთვის მკვრელმა სიხვეტი პანტერმა მასმედიას განუცხადა, ჩემი ნაცოლარი 2000 წლის სიდნეის ოლიმპიურ თამაშებზე შედეგების მისაღწევად ღობინგს იყენებდა. სიდნეისში მერიონმა მართლაც შესანიშნავად იბრძინა, 3 ოქრო და 2 ბრინჯაო მოიპოვა და შტაბებში სახელმწიფოებრივი დაბრუნდა. პანტერმა ისიც განაცხადა, ცოლისთვის პირადად გამოკეთებია აკრძალული პრეპარატები. არც ეს იკმარა და ყოფილ მეუღლეს ჯორჯობისას უურნალობს ისიც განუცხადა, მარტო ღობინგს კი არ იკეთებს, საერთოდაც ნარკომაია.

ბირთვის მკვრელის სიტყვებმა აშშ-ს ანტიდოპინგური სააგენტო დააინტერესა და გამოძიებაც წამოიწყო, თუმცა პანტერი მაინცდამაინც სანდო პიროვნება ვერაა. 1997 წელს მსოფლიოს ჩემპიონატი კი მოიგო, მაგრამ შემდეგ თავად იყო დოპინგის მოხმარებაში მხილებული და 2 წლით მოკვეთეს კიდევ. მერიონ ჯონსმა თავის დაცვა შეძლო. მან და მისმა ადვოკატმა დამტკიცეს, რომ პანტერის ბრალდება გაბოროტებული და შურიანი კაცის ნაბოღვარი იყო და მეტი არაფერი. დამტკიცებით კი დამტკიცეს, მა-

გრამ გამოძიება არ შემწყდარა. ჯონსმა დოპინგ-ტესტები ამერიკულ ლაბორატორია BALCO-ში გაიარა, მოგვიანებით კი თავად ეს ლაბორატორია გახდა ეკვიპირებული სპორტსმენებისათვის აკრძალული ნივთიერებების მიყიდვაში. ჯონსი ახლა მოწმის სტატუსით იყო იძულებული, სასამართლოებში ებრძინა. გარდა ამისა, მერიონის ცხვერებაში ისეთი რამ მოხდა, რამაც ასევე გაუმრულა კარიერა. იგი ამერიკულ სპრინტერ ტიმ მონტგომერის გაუმძინურდა. ტიმ კი ჯონსის პირველი ქმრის დარად დოპინგ-სკანდალში გაეხება, რის გამოც ათენის ოლიმპიადაზე გამოსვლის უფლება არ მისცეს. ისევ აგორდა ეჭვები მერიონის წინააღმდეგ. ისევ დაიწყო დაუსრულებელი დოპინგ-ტესტები და სასამართლო პროცესები, მაგრამ როგორც აღრე, სპორტსმენს ახლაც ვერაფერი დაუმტკიცეს. ვერც ერთმა ტესტმა ვერ იპოვა მის სისხლში რაიმე აკრძალული და არც რაიმე სამხილი აღმოუჩენიათ ბრალმძებლებს. მოკლედ, მერიონი გამართლდა და ათენშიც იბრძინა, მაგრამ...

რა ხდება დღეს? BALCO-ს ლაბორატორიის შეფმა ვიქტორ კონტემ განაცხადა, სულ ტყუილად დააპორწივალეთ ჯონსს დოპინგ-ტესტებზე, ვერაფერსაც ვერ უპო-

ვით, რადგან უამრავი პრეპარატი არსებობს, რომელიც სისხლში დოპინგის კვალს ფარავს და ასეთ პრეპარატებს ჯონსს პირადად ვუპოვებდით.

ისევ განახლდა გამოძიება. მერიონმა ტყუილის დეტექტორზეც კი გაიარა შემოწმება და წარმატებითაც, მაგრამ ვინ ანებებს თავს. მალე ახალი პრეზიდენტი ელის.

მალე ახალი პრეზიდენტი არის მართალი. ერთის მხრივ ჯონსს ბევრი ადებს ხელს და თანაც მისი ყოველი ახალი მიჯნური რომ დოპინგის მოხმარებელი გამოდგა, ეს ფაქტიც არ მეტყველებს ამ ქალბატონის სასარგებლოდ, თუმცა მეორეს მხრივ ორი მთავარი ბრალმძებელი, თავად ბრალმძებელი, მხილებული და რეპუტაცია შელახული ადამიანია, რომელთა დაჯერებაც თითქოს უფრო რთული საქმეა, ვიდრე ამ ქალისა, რომელსაც 5 თვეა სხვადასხვა სასამართლოებში დაარბენინებენ და ვერაფერს უმტკიცებენ.

კონტეს განცხადების შემდეგ საქმეში აშშ-ს ანტიდოპინგური სააგენტოსთან ერთად მსოფლიოს ანტიდოპინგური სააგენტოც ჩაერთო და სოკ-ის პრეზიდენტი ჟაკ როგიც პირადადა დაინტერესებული გამოძიების ლოგიკურ დასასრულამდე მიყვანაში.

უკვე მერამდენედ გვიწევს ამერიკულ სპრინტერ მერიონ ჯონსზე წერა. ეს ქალი ხანს უფრო გვეჩვენება და ხან ასე პროცენტით დამბნავს, როგორც მოხმარების საქმეში. წლებადღე ივლისს სიდნეისში მოხმარების საქმეში. წლებადღე ივლისს სიდნეისში მოხმარების საქმეში. წლებადღე ივლისს სიდნეისში მოხმარების საქმეში.



მერიონს თუ ბრალდება დაუმტკიცდა, ოლიმპიადაზე მოპოვებული ყველა მედალი ჩამოერთმევა, თუ არა და, შერჩება. მაგრამ ის კი დაზუსტებით მაინც ვერასოდეს გაიკვევს, დამნაშავეა თუ არა ეს მშვენიერ ქალბატონი.

ლადო ჟულუხიძე

## ავტორბოლა



**შოტლანდიელ** მეფორმულე დევიდ კულპარდის გაისად ტრასებზე ყოფნა-არყოფნის ამბავი ეტყობა, მისთვის სასიკეთოდ გადაწყდება. შეგახსენებთ, მას „მაკლარენმა“ წლებადღე ჩემპიონატი უხვირო ჯირითის (მხოლოდ მეათე ადგილი) გამო კონტრაქტი აღარ გაუვრძელა.

უმუშევრად დარჩენილი 2001 წლის ვიცე-ჩემპიონი სახელცვლილ „იარდონის“, ამერიკიდან კი „რედ ბულის“ მეფორმულა, ავსტრიელმა მილიარდერმა დიტრიხ მატეშიცმა ტესტებზე გამოსაცდელად მიიწვია. 33 წლის კულპარდს შესამოწმებელი არაფერი სჭირს, არც ოსტატობა დაეწუნება და არც მოტივაცია მოკლებია, მაგრამ წესი წესია, ბოსმა ხომ უნდა ნახოს საკუთარი თვალით, რა „საქონელში“ მოუწევს მილიონების გადახდა.

# წითელმა ხარმა ბებერ ხარს შანსი მისცა

ისე, მულტიმილიონერ მძღოლს, რომელსაც მონტე კარლოში საკუთარი სასტუმრო და სხვა მომგებიანი ბიზნესიც აქვს, ჯამაგირი არ ადარდებს — თანახმა ვარ, უხელფასოდ ვირბოლო და ანაზღაურება მხოლოდ მოპოვებული ქულების შესაბამისად მივიღო.

საფორმულო საქმეებში ნაკლებად ჩახედულმა, ტონიკ-სასმელით გამდიდრებულმა შეფმა ალბათ ავტო ავტორიტეტთა აზრი გათვალისწინა (მაგალითად მისმა ლეგენდარულმა თანამემამულემ, სამგზის ჩემპიონმა ნიკი ლაუდამ თქვა, კულპარდის დონე და გამოცდილება ძალიან გამოადგებოდა), თორემ ორი-


ოდე კვირის წინ სულ სხვა გეგმები ჰქონდა და არც მალაუდა — აქცენტი უნდა გააკეთო პილოტების ახალგაზრდობასა და აგრესიულობაზე, ამიტომ კულპარდი ჩემი გუნდის სამომავლო კონცეფციაში ვერ ჯდებოდა. ახლა კი აზრი შეიცვალა და თან როგორ: „დევიდი არა მარტო თანამედროვე ფორმულა-1-ის ერთ-ერთი ყველაზე გამოცდილი და წარმატებული პილოტია, არამედ პიროვნულადაც ჯიგარია. სწორედ ეს ყველაფერი სჭირდება ჩვენს გუნდს. შეუძლებელია ორი ახალბედათი გახვიდე სტარტზე და რაიმე სერიოზულ შედეგზე გქონდეს პრეტენზია. კულპარდი შესანიშნავი,

ურთიერთობაში სასამართლო ადამიანია და თანაც ბრწყინვალე მბროლი.“

კულპარდმა გუშინწინ უკვე გაიჯირითა ესპანეთში, ხერეს დე ლა ფონტერას ტრეკზე „წითელი ხარის“ ლურჯი ბოლიდით. ცხადია, უმაღლეს შედეგს მისგან არავინ ითხოვდა, 61-ჯერ შემოუქროლა ოთხკილომეტრიან წრეს და 15 პილოტს შორის მეშვიდე დრო აჩვენა, დღის გმირ — „მაკლარენის“ მეტესტე პედრო დე ლა როსაზე ორი წამით უარესი.

მე-11 შედეგი ჰქონდა 25 წლის ავსტრიელ კრისტიან კლიენს, რომელსაც თითქმის განაღებული აქვს კონტრაქტი „რედ ბულთან“, ხოლო მეორე ადგილის პრეტენდენტმა, ახალბედა იტალიელმა ვიტანტონიო ლიუციმ მხოლოდ 30 წრის გავლა შეძლო და კულპარდთან წამნახევარი წაავო.

ბია ახალაძე




დევიდ კულპარდს „რედ ბულის“ ბოსმა დიტრიხ მატეშიცმა საიმედო საშობაო საჩუქარი უძღვნა











# პრანგლერის ხარეზი

ლას ვეგასში იქაურ „ვრანგლერის ეროვნულ ფინალეზზე“ სულ ჩაუქი კოვბოები შეყრილან, მაგრამ ხარეზიც არანაკლები არიან. კოდი ბალერს ტლინგი ხვდა წილადა, ჩვენს ძველ ნაცნობ ჯეს ბეილს კი რქები და მსუბუქი ტრაგეზია.



# დიაბო ჩამოსულა

კუბაში საშუალოდ მყოფი დიეგო არმანდო მარადონა ორიოდ კვირით დაბრუნდა ბუენოს აირესში, რათა შობის დღესასწაული თავის ოჯახთან და შეიღებთან ვაატაროს. ცხადია, დიეგო წამსვე მიიწვიეს მარსელი ტინელის ტელეშოუში, სადაც ძველებური ფანდები აჩვენა.



# ლებრონ ჩინეთი

„ნაიკი“ ჩინეთში — ეს არცთუ ახალი თემაა. თუმცა, „ნაიკი“, ნბა და ლებრონ ჯეიმსი ყველა ვიტრინაში აუცილებლად მოგანდომებთ სწორედ ისეთ ფუნსაცმელს, როგორც თქვენც. ნამდვილი ვარსკვლავები თამაშობენ კალათბურთს.



## სარბიელი

საორტული გაზეთი

გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან

გამოცემის ორგანიზაცია, საგამომცემლო, ორგანიზაცია, სპონსორი, პარტნიორი და შტაბი

გამომცემელი ზურაბ ჯორჯიანი  
დირექტორი გიორგი მამუკაშვილი  
რედაქტორი თამაზ მიხრიალი  
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბაშვილი  
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თაყაიშვილი  
კობა ინასარიძე, ვახა შალამბერიძე  
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიორგი ანდრონიკიანი, ილია ბაბუნაშვილი, გიორგი დარჯინია, გიორგი ვაშაყიძე, ლადო ხომერიკი, ვაჟა ხუციშვილი

ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: ირაკლი ჯორჯიანი  
ინფორმაციის რედაქცია: ვაჟა ანდრონიკიანი, ავთანდილ გურასაშვილი, ლევან კლავაძე, ოთარ მაღლაკლიძე, ილია ნანობაშვილი, ირაკლი პერტია  
ფოტორეპორტაჟორები: გურამ დოღონაშვილი, ბადრი კვიციანი  
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი  
კომპიუტერული ცენტრი: ლია ბეგელიანი, ხათუნა ბუხუნიშვილი, ელენე გელუტაშვილი, რუსუდან ერისთავი, ფატი დგალიშვილი, მადრა დოგრაშვილი, ზვიად მოსიაშვილი, თენგიზ ფოფხაძე, თამარ ქინქლაძე, ზურაბ წერეთელი

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზვბაშვილის გამზ. 42, II კორპუსი, IV სართული.  
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29  
ელექტრონული ფოსტა: sarbieli@gol.ge  
ელექტრონული ვერსია: <http://www.sarbieli.com.ge>

REUTERS მეგობარი

REUTERS მეგობარი